# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის ოქმი

N70

ქ. თბილისი

2025 წელი; 28 იანვარი; 12:00 სთ;

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე

მოწვეული პირები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
3. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
4. თათია ბარაქაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. ნინო ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;
6. თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
7. გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი;
8. შალვა ლომსაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020.01.653) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, გალის ქუჩა N17-ში მდებარე 1602 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ: N01.15.02.054.081) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N22-ში მდებარე N11 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.089.04.01.011) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ. N22, N24-ში მდებარე N50 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N3-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.062.024) გიორგი დანელიასთვის (პ/ნ: 01024044554) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. „ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი N7-ის მიმდებარედ 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.12.003.070) პირდაპირი განკარგვის წესით, ოლღა ლაგვილავასთვის (პ/ნ: 01011062112) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სან

პეტროლიუმ ჯორჯიას“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12

დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

19. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.08.010.029, ფართობი - 1 515 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, შატილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.03.003.056, ფართობი - 757კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა -ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.187, ფართობი - 18 664 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებისა და „ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა -ში არსებული მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.187, ფართობი - 18 664 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N421 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.**

მოისმინეს:

1. **გაიოზ თალაკვაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსახილველი,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის** თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (209 684,9 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით,** კერძოდ: **იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 38,6 ათასი ლარით** (საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის N474 დადგენილება და სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2025 წლის 15 იანვრის NCDC 2 2500025592 წერილი), ხოლო **მცირდება სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 38,6 ათასი ლარით.** შესაბამისად, **წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 209 684,9 ათასი ლარით და შეადგენს 2 192,862.9 ათას ლარს.**

როგორც **მომხსენებელმა აღნიშნა,** წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

**იზრდება:** გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები -- 6 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 2 195,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) -- 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 315,6 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 425,9 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 50 000,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 14 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) -- 3 148,1 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 149,8 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 1 550,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 1 091,8 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) – 802,2 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები -- 208,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 2 666,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 2 214,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 800,0 ათასი ლარით,

კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 2 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 1 373,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 2 350,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 1 836,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 1 165,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 700,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 5 045,4 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) – 10 550,4 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 13 665,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 139,2 ათასი ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 415,7 ათასი ლარით, სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) – 2 992,0 ათასი ლარით, ვერის ბაღის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 02) – 7 575,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 200,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 496,1 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 1 363,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 300,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 30,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 470,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 33 813,2 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 3 500,0 ათასი ლარით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) – 450,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები – 2 103,0 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 160,0 ათასი ლარით, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) – 525,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 2 090,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 7 019,9 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის – 423,3 ათასი ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) – 1 765,0 ათასი ლარით.

მომხსენებლის მითითებით, ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება **ახალი ქვეპროგრამა - ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) - 10 000,0 ათასი ლარის და ახალი პროგრამა - თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) (კოდი 10 41) - 6 600,0 ათასი ლარის ოდენობით.** გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ასიგნებები შემდეგ პროგრამებში, კერძოდ: იზრდება მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები – 52,7 ათასი ლარით და მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) – 58,9 ათასი ლარით, ხოლო მცირდება მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 06) პროგრამის

ასიგნებები - 6,9 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) – 58,7 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 5,3 ათასი ლარით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 40,7 ათასი ლარით.

**მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 983 178,0 ათასი ლარის** ოდენობით და **ნაშთის ცვლილება 209 684,9 ათასი ლარით.** ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 178,0 ათასი ლარით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 192 862,9 ათასი ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 44 455,3 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 165 229,6 ათასი ლარით. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველ მუხლში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილების გამოქვეყნების თარიღის სწორად მითითების, ასევე დადგენილების პროექტის მუხლობრივი ნუმერაციის სწორი ფორმით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**2. თამარ ბერუაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილების** პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესში" (შემდგომში -„წესი") ცვლილების განხორციელებას.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები და მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან, ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 1 (ერთი) წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ამ პუნქტის მოთხოვნებს.

2. ფულადი დახმარება განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. ქვეპროგრამაში ჩართვა

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარება გაიცემა ერთჯერადად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მოსარგებლის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებლისადმი წარდგენილი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი. იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი."

**მომხსენებლის განმარტებით,** წარმოდგენილი ცვლილების **მიზანია 100 წელს მიღწეული მოქალაქეებისათვის განსაზღვრული ფულადი დახმარების ოდენობის გაზრდა და ქვეპროგრამის მოსარგებლედ განსაზღვრის კრიტერიუმების დაზუსტება.**

**მოხსენების მიწურულს, თამარ ხერუაშვილმა დასკვნის** სახით **აღნიშნა,** რომ დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.**

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსობრივად დაზუსტებისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, **ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში არსებული 10.26 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების** მოქალაქე გივი რუაძისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **დაახლოებით 2000 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

**მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

4. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, **სამღერეთის ქუჩა N5-ში არსებული 25.33 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების** მოქალაქე თამარ ტაბატაძისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **2002 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ლოტკინის ალიონის“ 2023 წლის 5 იანვრის კრების ოქმით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრის **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

**მოხსენების მიწურულს, სერგო ზირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. სერგო ზირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, გალის ქუჩა N17-ში მდებარე 1602 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 106 769 ლარის ოდენობით, პრივატიზებას,** ირმა გოგიბერიძის საკუთრებაში არსებული **ქ. თბილისში, ნინო ჟვანიას ქუჩა N59-ში მდებარე 533 კვ.მ. მიწის ნაკვეთის** და მადლენა კოწოწაშვილის საკუთრებაში არსებული **ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „თრელებში“ მდებარე 2600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართეს დაინტერესებულმა პირებმა და ითხოვეს მათ საკუთრებაში არსებული ზემოთ მითითებული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობა **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქ. თბილისში, გალის ქუჩა N17-ში არსებული 1602 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების თანასაკუთრებაში მიღების სანაცვლოდ.**

**სერგო ზირკაძის განმარტებით,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ივლისის წერილით ირმა გოგიბერიძის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაიცა **თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებისა და განაშენიანების დამტკიცებული გეგმის კორექტირებაზე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის განკარგულების შესაბამისად და **მიწის ნაკვეთს მიენიჭა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), შემდეგი სამშენებლო კოეფიციენტებით: კ1-0.5; კ2-2.1; კ3-0.2,** ხოლო **დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში – „გენგეგმა“) დამტკიცების შემდგომ,**

მითითებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭა სატყეო ზონა. ასევე, მასზე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების ფენა და ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა. გარდა ამისა, ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისათვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა შეუსაბამო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტად იქნა მიჩნეული. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ირმა გოგიბერიძეს შეეზღუდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა. ამასთანავე, მადლენა კოწოწაშვილის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). თუმცა, გენგეგმის დამტკიცების შემდგომ მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), გამწვანებული ტერიტორიებით შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-1, რის გამოც მესაკუთრეს გაუუარესდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 22 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისად, ქ. თბილისში, ნინო ჟვანიას ქუჩა N59-ში მდებარე 533 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, იმ დაშვებით, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის თანახმადაც, მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), შემდეგი სამშენებლო კოეფიციენტებით: კ1-0.5; კ2-2.1; კ3-0.2, 2024 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 796 302 ლარის ოდენობით, ხოლო ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „თრელებში" მდებარე 2600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ, ამავე დასკვნის შესაბამისად, მისთვის დედაქალაქის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე არსებული ფუნქციური ზონა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) გათვალისწინებით, 2024 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 1 552 200 ლარი. შესაბამისად, აღნიშნული უძრავი ქონების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 348 502 ლარს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, გალის ქუჩა N17-ში მდებარე 1602 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულებამ, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 22 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისად, 2024 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 2 455 271 ლარი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და დაინტერესებულ პირთა საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამურ საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა, კერძოდ, 106 769 ლარი, რომლის გადახდაზეც დაინტერესებულმა პირებმა თანხმობა განაცხადეს.

სერგო ბირკაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ გენგეგმის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი შეუსაბამო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტად მიჩნეულ იქნა ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისთვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, მოცემული ტერიტორია წარმოადგენს, ერთი მხრივ, ლანდშაფტისა და გარემოს დაცვისათვის მნიშვნელოვან არეალს (მოიცავს წითელ წიგნში შესული სახეობის - ხმელთაშუა ზღვის კუს - გავრცელების არეალს, რომლის ხელყოფაც დაუშვებელია საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე), მეორე მხრივ, გააჩნია კულტურულ-ისტორიული ღირებულება და წარმოადგენს ქალაქის მემკვიდრეობას, რომელიც დაცულია საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ასევე, ტერიტორიას გააჩნია წყალშემკრები ხასიათი და მასზე დაგეგმილი განვითარებები ხელს უწყობს ქალაქის მიმდებარე არეალებისათვის ბუნებრივი კატასტროფების რისკების ზრდას, ამასთანავე მოცემულ არეალს

გააჩნია შეზღუდული წვდომა სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურულ და კომუნალურ რესურსებზე, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ტერიტორიაზე ქალაქგეგმარებითი პროექტით დაგეგმილ განვითარებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა**, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს ირმა გოგიბერიძის და მადლენა კოჭიჭაშვილის თხოვნის დაკმაყოფილებას მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით, **მისაღებად მიიჩნევს წარმოდგენილ საექსპერტო შეფასებებს და საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრავს მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლებ ოდენობას. ამასთანავე, მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ ადგილმონაცვლეობის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ერთ-ერთი დაინტერესებული პირი - ირმა გოგიბერიძე უარს აცხადებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოებული დავის ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებაზე და არ აქვს უფლება ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, ასევე დავაში არსებულ და მისგან გამომდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებით აღარ ექნება პრეტენზიები/მოთხოვნები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ცარცლისანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N22-ში მდებარე **79.60 კვ.მ. ფართობის N11 ბინის (მშენებარე)** და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ. N22, N24-ში მდებარე **37.50 კვ.მ. ფართობის N50 ბინის (მშენებარე)** პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე მაია ავალიშვილისა და მარიამ ლორთქიფანიძისთვის **პრივატიზების გზით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად, თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 27 სექტემბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 86.29 კვ.მ. ფართის**

მესაკუთრეებმა მაია ავალიშვილმა და მარიამ ლორთქიფანიძემ და თანხობა განაცხადეს **აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში მიღებაზე.**

**სერგო ბირკაძის განმარტებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით.** შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 336 789.87 ლარის ოდენობით.**

**მომხსენებლის მითითებით,** ასეთივე დაშვებებით, 2024 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 242 700 და 92 475 ლარის ოდენობით (ჯამურად: 335 175 ლარი).**

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის, ასევე პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N3-ის მიმდებარედ არსებული **4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** მოქალაქე გიორგი დანელიასთვის **იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 8 ნოემბრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2024 წლის 8 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1200 ლარით;**

**მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- იჯარის მოქმედების ვადა - 2029 წლის 1 ივნისამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1200 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სერგო ბირკაძემ იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N7-ის მიმდებარედ **5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით,** მოქალაქე ოლღა ლაგვილავასთვის **იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, **ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 დეკემბრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული

უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2024 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 720 ლარით.**

**სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე,** რომ დაინტერესებულ პირს, 2009 წლის 31 ივლისის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ხელშეკრულებისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 9 ივნისის ბრძანების საფუძველზე გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების შესაბამისად, მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, **2024 წლის 31 ივლისამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით.** ამასთანავე, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

**მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 ლარი** (საიჯარო პირობების შესაბამისად, დაინტერესებული პირი ვალდებულია, გადაიხადოს, ზემოხსენებული ხელშეკრულებების ვადის გასვლის დღიდან წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე სრული პერიოდისათვის იჯარის საგნის ფაქტობრივად ფლობის საფასური, რომელიც იანგარიშება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად და ყოველდღიურად შეადგენს 2 (ორ) ლარს).

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**9. სერგო ბირკაძემ** იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში - „სააგენტო") და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

დარღვევისთვის შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას, შემდეგი ოდენობით:

- ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 4.14 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული - 32 100 ლარის ოდენობით;
- ხელშეკრულების 4.12 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 4.15 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული - 20 200 ლარის ოდენობით;
- ხელშეკრულების 4.13 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 4.15 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული - 7 100 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ შორის, 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება: ქალაქ თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში არსებული 2 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო სანაცვლოდ, ქონების შემძენის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ 234 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1.

სერგო ბირკაძის განმარტებით, ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „ზ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტოს მიერ წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ქონების შემძენი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯით, უზრუნველეყო მუნიციპალიტეტისთვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (არსებული ბენზინ-გასამართი სადგური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა) დემონტაჟი და აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, ხოლო დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში (არაუგვიანეს 2024 წლის 28 ივლისისა) საკუთარი ხარჯით მოემზადებინა და სააგენტოსთვის წარედგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლითაც შეფასებული იქნება, ერთი მხრივ, დემონტაჟის მიზნით, ქონების შემძენის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები და მეორე მხრივ, უძრავ ქონებაზე განთავსებული, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება.

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან, ზემოაღნიშნული ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით, კერძოდ, 2024 წლის 12 ნოემბერს, ხელშეკრულების 4.14 პუნქტის შესაბამისად, ქონების შემძენს დაეკისრა პირგასამტეხლო 2024 წლის 29 ივლისიდან 2024 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით პერიოდზე (107 დღე), ჯამში - 32 100 ლარის ოდენობით.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 4.12 და 4.13 პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზეც, რომელთა თანახმადაც, ქონების შემძენი ვალდებული იყო, უზრუნველეყო მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების მომენტისათვის ყველა შესაძლოდ არსებული კომუნალური გადასახადის და დავალიანების გადახდა და კომუნალური საბონენტო აღრიცხვიდან (აღრიცხულ აბონენტად არსებობის შემთხვევაში) მოხსნა უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციამდე (2024 წლის 2 მაისამდე).

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან ზემოაღნიშნული ვალდებულებები შესრულდა ვადის დარღვევით, ხელშეკრულების 4.15 პუნქტის საფუძველზე, 4.12 პუნქტით გათვალისწინებული

ვალდებულების დარღვევისთვის ქონების შემძენს დაეკისრა პირგასამტეხლო, 2024 წლის 3 მაისიდან 2024 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით პერიოდზე (202 დღე), ჯამში - 20 200 ლარის ოდენობით, ხოლო 4.13 პუნქტის დარღვევისთვის 2024 წლის 3 მაისიდან 2024 წლის 12 ივლისის ჩათვლით პერიოდზე (71 დღე), ჯამში - 7 100 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქონების შემძენის მიერ სააგენტოში წარდგენილი განცხადებებით, მოთხოვნილ იქნა **ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება**, ვინაიდან დაინტერესებული პირის განმარტებით, ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება დაირღვა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო; კერძოდ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ **დასკვნა მომზადდა ვადის დარღვევით**. გარდა ამისა, **ვალდებულების შესრულება უნდა დადასტურებულიყო მხოლოდ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნით.** რაც შეეხება ხელშეკრულების **4.12 და 4.13 პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს**, როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნული ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციამდე, თავის მხრივ, უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციისთვის, **ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული იყო 5 (ხუთი) სამუშაო დღე.** შესაბამისად, **ქონების შემძენი მიუთითებს, რომ ხელშეკრულების 4.12 და 4.13 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად განისაზღვრა არაგონივრულად მცირე ვადა.**

მოხსენების მიწურულს, **სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა**, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ქონების შემძენის გათავისუფლების საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვისა და განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილების სათაურის სწორი ფორმით მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ,**

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2025 წლის პირველი თებერვლიდან, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხის დაწყებას, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, 2024 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა განკარგულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის შესახებ" რითაც მთავრობის მიერ, მიზანშეწონილად იქნა საკითხის მომზადება თბილისის საკრებულოსთან წარდგენის მიზნით, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მთავრობის განკარგულებით განისაზღვრა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა დაინტერესება გამოხატა რეორგანიზაციის საკითხის დაწყების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, რაზეც საკითხის წარმომდგენისა და კომისიის თავმჯდომარის მიერ ამომწურავი პასუხი იქნა გაცემული. (*შენიშვნა*: ლილე ლიპარტელიანმა უარი განაცხადა კომისიის სხდომაზე დასწრების აღნიშვნის მიზნით ხელმოწერაზე და ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირების შემდეგ დატოვა სხდომა.)

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტში მიეთითოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემდეგი რეკვიზიტები: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახე; გამოცემის დრო და ადგილი. ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის განკარგულების სათაურის მითითების რეკომენდაციაზე. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ნინო ჯაფარიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, ითვალისწინებს დღის წესრიგის მე-10 საკითხის იდენტურ ღონისძიებას, შემდეგი სახით:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2025 წლის პირველი თებერვლიდან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის საკითხის დაწყებას, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით.**

**მომხსენებლის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2024 წლის 31
დეკემბერს მიღებული განკარგულებით, მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის მომზადება ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით. ხოლო აღნიშნული
უწყების მიერ, ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მთავრობის წინამდებარე
განკარგულებით განისაზღვრა, რომ **სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურმა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების
განხორციელება.**

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია** „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის“ 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი
განკარგულების პროექტში მიეთითოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის შემდეგი რეკვიზიტები: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
სახე; გამოცემის დრო და ადგილი. **ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების
პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31
დეკემბრის განკარგულების სათაურის მითითების რეკომენდაციაზე. აღნიშნული
რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა
ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების
გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე
განსახილველად.

მოისმინეს:

12. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე
საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების
პროექტი,** რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, ითვალისწინებს დღის წესრიგის მე-10-მე-
11 საკითხების იდენტურ ღონისძიებას, შემდეგი სახით:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2025 წლის პირველი თებერვლიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხის დაწყებას, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, 2024
წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა განკარგულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოსთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის მომზადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით**, ხოლო აღნიშნული უწყების მიერ, ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მთავრობის წინამდებარე განკარგულებით განისაზღვრა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ **უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.**

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია**, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სახელწოდების მითითების ნაწილში და ყველგან მიეთითოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებით გათვალისწინებული სახელწოდება. **ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის განკარგულების სათაურის მითითების რეკომენდაციაზე. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცამეტე **საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, ითვალისწინებს დღის წესრიგის მე-10-მე-12 საკითხების იდენტურ ღონისძიებას, შემდეგი სახით:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2025 წლის პირველი თებერვლიდან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხის დაწყებას, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით.**

**მომხსენებლის განმარტებით**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2024 წლის 31 დეკემბერს მიღებული განკარგულებით, მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის მომზადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით, ხოლო აღნიშნული უწყების მიერ, ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მთავრობის წინამდებარე

განკარგულებით განისაზღვრა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტში მიეთითოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემდეგი რეკვიზიტები: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახე; გამოცემის დრო და ადგილი. **ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის განკარგულების სათაურის მითითების რეკომენდაციაზე. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. **ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში** ცვლილების შეტანას.

**მომხსენებლის განმარტებით,** ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), პირებს, რომელთა მიმართაც **2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე შედგენილი იყო ელექტრონული საჯარიმო ქვითრები** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის (უბილეთო მგზავრობისთვის) და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი ჰქონდათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე, ამასთანავე, ფიქსირდებოდა სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ ჰქონდათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, **ჩაითვალათ გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდა/აღარ გაგრძელდა გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, იზრდება ელექტრონული საჯარიმო ქვითრების შედგენისთვის განსაზღვრული ვადა და განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებები გავრცელდება **2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის 1 თებერვლამდე შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა დამატებით აღნიშნა,** რომ სსიპ -- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაევალა ზემოაღნიშნული გადახდების ჩათვლისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გადახდილი თანხების ჩათვლის გათვალისწინება გასაჩივრებული საქმეების განხილვისას.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. **ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთხუთმეტე **საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დანიშნულებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების, შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტების ცვლილებას,** დანართი 2-ის შესაბამისად;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის განკარგულების მე-2 პუნქტით დადგენილი **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტების ცვლილებას,** დანართი 3-ის შესაბამისად.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ -- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარედგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელთა განცხადებები, **აღნიშნული დაწესებულებებისთვის დამტკიცებულ მარშრუტებში სარეზერვო ავტობუსების მითითების თაობაზე.**

გარდა ზემოაღნიშნულისა, **ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარედგინა შპს „ავერსი-ფარმას" დირექტორის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) დამტკიცებულ მარშრუტებში ცვლილებების შეტანა, **კერძოდ, დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილია დამატებით ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე მარშრუტის დამტკიცება.**

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი **ცვლილებების მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელს თანამშრომელთა ორგანიზებულ გადაყვანაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე, **დაარეგულიროს და სამართლებრივად მოაწესრიგოს დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები,** ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით დადგენილი წესების შესაბამისად.

**მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც,** რომ დამსაქმებლების მიერ თანამშრომელთა გადაყვანისთვის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოსწავლეთა გადაყვანისთვის, ძირითადი ავტობუსების სარეზერვო ავტობუსებით ჩანაცვლების საჭიროებისას, **პროცესის დაუბრკოლებლად და ეფექტიანად განხორციელების** მიზნით, ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ დანართი 2-ში და დანართი 3-ში მითითებული იქნება **სარეზერვო ავტობუსების რეგისტრაციის ნომრები, რათა** თავიდან იქნას **აცილებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა** კოდექსით **გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველ მუხლში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის განკარგულების თარიღის სწორად მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. **ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც **მომხსენებელმა აღნიშნა,** წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება **ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლი და ნორმატიული აქტის ამოქმედების თარიღად, ნაცვლად 2025 წლის პირველი თებერვლისა, განისაზღვრება 2025 წლის პირველი მარტი.**

**ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2024 წლის 27 დეკემბრის N50-103 დადგენილება, **რომლითაც განისაზღვრება პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობები: კერძოდ, ის დაჩქარებული მომსახურებები, რომლის მოთხოვნის შემთხვევაშიც, დაინტერესებული პირი იმავდროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას, აღნიშნული მომსახურებისათვის საფასურის გადახდის გარეშე.**

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ცვლილება **უნდა ამოქმედებულიყო 2025 წლის პირველი თებერვლიდან, თუმცა, ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აღნიშნულ ვადად განისაზღვროს 2025 წლის პირველი მარტი.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულის სტილისტურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

17. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა **აღნიშნა**, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლი და **ნორმატიული აქტის ამოქმედების თარიღად, ნაცვლად 2025 წლის პირველი თებერვლისა, განისაზღვრება 2025 წლის პირველი მარტი.**

**ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, **მისაწოდებელი მომსახურებების ხარისხის დახვეწის, ეფექტურობისა და მოცულობის გაზრდის მიზნით**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2024 წლის 27 დეკემბრის N50-104 დადგენილება, **რომლითაც განხორციელდა შესაბამისი რეგულირების დადგენა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირს, რომელიც მიმართავს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაჩქარებული მომსახურების გაწევის მიზნით, იმავდროულად მიიღოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება, რომელიც მას ავტომატურად დაენიშნება.**

**მომხსენებლის მითითებით,** ზემოაღნიშნული ცვლილება **უნდა ამოქმედებულიყო 2025 წლის პირველი თებერვლიდან, თუმცა, ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აღნიშნულ ვადად განისაზღვროს 2025 წლის პირველი მარტი.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

1ნ. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართი 3-ში ცვლილების შეტანას.**

**მომხსენებლის განმარტებით,** ახალი, 2025 წლის დადგომით, შეიცვალა კალენდარული სამუშაოს, შაბათის, კვირის და უქმე დღეების (ცალკეული თვის განმავლობაში) რაოდენობები. შესაბამისად, საჭირო გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელ კილომეტრში (დანართი 3) ცვლილების შეტანა.

**მომხსენებლისვე მითითებით,** დღეისათვის მარშრუტებზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, **2025 წლის პერიოდისთვის მარშრუტებზე სატრანსპორტო საშუალებების მუშაობაში მთლიანი წლიური გარბენი განისაზღვრა 50 892 719,65 კმ-ით** (2024 წლისთვის აღნიშნული გარბენი შეადგენდა 51 159 423 კმ-ს).

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 515 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.4-მდე, რაც გულისხმობს 6 (ექვსი) სართულის ნაცვლად, 8 (რვა) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ),** ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის ბრძანებით დადგენილია **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებითა და პირობებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის; შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.**

**მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის განკარგულებით** მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ **განისაზღვრა ხელშემწყობი ღონისძიებები და დაინტერესებულ პირს,** ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით დადგენილი **თანხის (369 616.32 ლარის) გადახდა დაეკისრა მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.**

**ნინო ზაგაშვილმა აქვე დასძინა,** რომ დაინტერესებული პირის მიერ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების თანხა **(369 616.32 ლარი) გადახდილ იქნა ზემოაღნიშნული განკარგულებით დადგენილი 6-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ.**

მომხსენებლის მითითებით, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 163 443 ლარს, ხოლო** ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 26 დეკემბრის წერილის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 418 839.48 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მოთხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5 დან კ-2=3.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- **დაინტერესებულ პირს ცალსახდილად ჩაეთვალოს ადგილობრივ ბიუჯეტში** შემოსულობების განმსაზღვრელ (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-მაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) სახაზინო კოდზე **ჩარიცხული 369 616.32 ლარი.**
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მასტიმულირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით **შესაბამისი ფასის ნაწილის - 49 223.16 ლარის ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;**
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს სისამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის მე-2 და მე-7 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. **ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** მისამართზე - ქალაქი თბილისი, შატილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 757 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

თავად **მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის **(კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.0-მდე,** რაც გულისხმობს **6 (ექვს) სართულიანი შენობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ),** ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით **დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) პარამეტრებით (კ-2=1.5).**

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 334 210.00 ლარს,** ხოლო ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 16 დეკემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 111 403.33 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების

რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით. შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის საკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - **111 403.33 ლარის** გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთანავე, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვა:

ნინო ვარდოსანიძემ **ისაუბრა** განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**21. ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეერთე** საკითხად განსაზღვრული, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების** პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით**, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 18 664 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებასა** და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების

რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა -ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.187, ფართობი - 18 664 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N421 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.5-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 12 (თორმეტი) სართულის დამატებასა და 59 (ორმოცდაცხრამეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).** ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს განკარგულებით, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე** დამტკიცებულია **მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა (კ-2=4.6),** ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის ბრძანებით **შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული** პროექტი (კ-2=4.6).

მომხსენებელმა **ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე,** რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, დაინტერესებული პირის მიერ 2024 წლის 29 ივლისის წარდგენილი განცხადებით, მოთხოვნილი იქნა **საპროექტო მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება (კ-2=5.6), მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ.** აღნიშნული განცხადება მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 8 აგვისტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს განკარგულებებით.

ნინო ზაგაშვილმა აქვე დასძინა, რომ **2025 წლის 20 იანვრის განცხადებით,** დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა საპროექტო მიწის ნაკვეთთან მიმართებით, **მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 5.5-ით განსაზღვრა არქიტექტურული პროექტის დეტალური დამუშავების საფუძველით.**

**მომხსენებლისვე მითითებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 30 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 93 469 312 ლარს.** ამასთანავე, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 20 იანვრის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.6-მდე გადამეტების ფასმა შეადგინა 20 319 415.65 ლარი,** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ პერიოდში და ზემოთ ხსენებული

მონაცემების გათვალისწინებით, დაინტერესებული პირის 2024 წლის 30 ივლისის განცხადების პასუხად, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური იმსჯელებდა კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.6-მდე გადამეტების ნაცვლად, **კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.5-მდე გადამეტების თაობაზე, ფასი შეადგენდა 18 287 474.09 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 4.6-დან კ-2 5.5-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის საკომპენსაციო ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - **18 287 474.09 ლარის** გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთანავე, თანხის გადახდის ვადა არ უნდა სცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- აგრეთვე, წინამდებარე განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს ქალაქ **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №421 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.**

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, საჯარო დაწესებულებაში საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი გარდაიქმნა და მიეკუთვნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კატეგორიას. შესაბამისად, საშტატო ნუსხაში პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე ასახული უნდა იყოს, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლით დადგენილია ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა, რის შესაბამისადაც განისაზღვრა მათი თანამდებობრივი სარგო.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული დადგენილების სათაური და პირველი მუხლი. კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ საკრებულოს თანამშრომელთა რიცხოვნობა უცვლელი დარჩება.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ დასკვნის სახით აღნიშნა, პროექტის მიღება არ გამოიწვევს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე და მავმვათა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდება 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომის მდივანი ნინო დანელიშვილი